თავი 1 შესავალი

სარჩევი

1 შესავალი 1-1
1.1 ზოგადი 1-1
1.2 წინასწარი ინფორმაცია ESIA-ს დამატების შესახებ 1-2
1.3 დამატებითი სამუშაოების ჩატარების გონივრული დასაბუთება 1-4
1.4 SCP-ის ოპერატორი: SCPC-სა და BP-ს ურთიერთობა 1-4
1.5 ESIA-ს პროცესი 1-4
1.5.1 მიზნები 1-4
1.6 ESIA-ს დამატების სტრუქტურა 1-4

ცხრილები

ცხრილი 1-1: ESIA-ს სტრუქტურა 1-5

სურათები

სურათი 1-1: შემოთავაზებული მილსადენის დამატებითი აღმოსავლეთის მონაკვეთი 1-3
სურათი 1-2: შემოთავაზებული მილსადენის დამატებითი დასავლეთის მონაკვეთი 1-3

1 შესავალი

1.1 ზოგადი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოში სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების (SCPX) პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (ESIA) დამატებას.

თავდაპირველი ESIA-ს დამატების განსაჯაროება მოხდა 2014 წლის აპრილში. საჯარო განხილვის შემდეგ, მარშრუტის ვარიანტების შემდგომმა განხილვამ გამოიწვია მცირე ცვლილებები მილსადენის შემოთავაზებულ მარშრუტში. წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს 2014 წლის აპრილში გამოქვეყნებული ESIA-ს დამატების ანგარიშის პროექტის შესწორებულ ვარიანტს, რომელიც განახლდა მილსადენის მარშრუტის მცირე ცვლილებების აღსაწერად. მოხდა ESIA-ს დამატების შესწორებული ვარიანტის ხელახალი საჯარო განხილვა (მე-9 თავში აღწერილის შესაბამისად), პირველი და მეორე საჯარო განხილვის დროს მიღებული კომენტარები განიხილა და ჩართული იქნა SCPX ESIA-ს დამატების საბოლოო ანგარიშში (წინამდებარე დოკუმენტი). წინამდებარე დოკუმენტში ტერმინი 'ESIA-ს დამატება' გამოიყენება მაშინ, როცა საუბარია დამატების, როგორც თავდაპირველ ისე შესწორებულ ვარიანტზე ან მაშინ, როცა ამ დოკუმენტის ორი ვარიანტის ერთანეთისგან განსხვავება არ არის საჭირო. როდესაც ვარიანტებს შორის განსხვავების მითითება აუცილებელია, გამოიყენება შემდეგი ორი ტერმინი: 'ESIA-ს დამატების ანგარიშის პროექტის თავდაპირველი ვარიანტი' და 'ESIA-ს დამატების ანგარიშის პროექტის შესწორებული ვარიანტი'. მთავარი ESIA, რომელიც გამოქვეყნდა 2013 წლის ივნისში, ნახსენებია როგორც 'SCPX ESIA-ს საბოლოო ანგარიში'.

ESIA-ს დამატება აფასებს პოტენციურ უარყოფით და დადებით ზემოქმედებებს და განიხილავს იმ გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების შერბილებასა და მართვას, რომლებიც პოტენციურად უკავშირდება საქართველოში შემოთავაზებული სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების (SCPX) პროექტის ფარგლებში მილსადენის დიამეტრის 48 დიუმამდე შემცირებას და მილსადენის დამატებითი მონაკვეთების მშენებლობას. ESIA-ს დამატება მომზადებულია ნებართვის მიღების განაცხადის მხარდაჭერის მიზნით. ESIA-ს დამატებაში შემოთავაზებული საქმიანობა საჭიროებს დამტკიცებას კომპეტენტური ორგანოების მხრიდან. ESIA-ს დამატება ავსებს SCPX ESIA-ს საბოლოო ანგარიშში წარმოდგენილ შეფასებასა და ვალდებულებებს; შესაბამისად საბოლოო ანგარიში წაკითხული უნდა იქნას დამატებასთან ერთად.

SCPX პროექტი, მილსადენის დამატებითი მონაკვეთების მშენებლობის ჩათვლით ექვემდებარება SCP ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში (HGA) მოცემულ მოთხოვნებს. ESIA-ს დამატება მომზადებულია აღნიშნული SCP HGA–ს მოთხოვნების, „გარემოზე ზემოქმედებაზე ნებართვის შესახებ საქართველოს კანონის" (14 დეკემბერი, 2007 წ.) და „გარემოზე ზემოქმედების შეფასების ქართული ნორმების" (15 მაისი, 2013 წ.) მოთხოვნების შესაბამისად ისე, რომ ეს მოთხოვნები წინააღმდეგობაში არ ყოფილიყო HGA–სთან.

ESIA-ს დამატება მომზადდა საერთაშორისო საკონსულტაციო ჯგუფის RSK Environment Limited-ის (RSK) მიერ, რომელიც სპეციალიზებულია ბუნებრივი და სოციო-ეკონომიკური გარემოს შეფასებაში, ქართველ პროფესიონალ პარტნიორ კომპანიებთან - „ძელქვა" და ACT Research ერთად, რომლებიც წარმოადგენენ აღიარებულ და გამოცდილ

საკონსულტაციო ჯგუფებს ბუნებრივი და სოციო–ეკონომიკური გარემოს შეფასების სფეროებში, შესაბამისად.

1.2 წინასწარი ინფორმაცია ESIA-ს დამატების შესახებ

SCPX ESIA-ს საბოლოო ანგარიში მომზადდა და წარედგინა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს; ანგარიში დამტკიცდა 2013 წლის 28 ივნისს.

თუმცა, SCPX მილსადენის საინჟინრო პროექტის გაუმჯობესების მიზნით გადაწყდა მილსადენის დიამეტრის შემცირება 56''-დან 48''-მდე. ამ ფაქტმა თავის მხრივ გამოიწვია SCPX მილსადენის გაფართოების საჭროება საქართველოში SCPX კმ56.6-დან კმ62.3-მდე (შემოთავაზებული მილსადენის დამატებითი აღმოსავლეთის მონაკვეთი). დგუშის სადგური, რომლის განთავსებაც თავდაპირველად შემოთავაზებული იყო კმ56.6-თან, ახლა განთავსდება კმ62.3-თან. ეს ცვლილებები შეფასებულია ESIA-ს დამატების ანგარიშის პროექტის თავდაპირველ ვარიანტში. შესაბამისად, მარშრუტის შემდგომმა განხილვამ გამოიწვია მილსადენის შემოთავაზებული მარშრუტის მცირე ცვლილებები. ESIA-ს დამატება მომზადდა ამ მცირე ცვლილებების აღსაწერად.

გარდა ამისა, პროექტის ფარგლებში შემოთავაზებულია თურქეთის საზღვართან ტრანს-ანატოლიურ გაზსადენთან (TANAP) დაკავშირება მილსადენის ახალი, დაახლოებით 2.5კმ სიგრძის მონაკვეთით (მილსადენის დამატებითი დასავლეთის მონაკვეთი). დამატებითი მონაკვეთი დაიწყება დაგეგმილი SCPX წნევის მარეგულირებელი და გამზომი სადგურიდან (PRMS), რომელიც განთავსდება უკვე არსებულ SCP ინფრასტრუქტურასთან (უბანი 80). ასევე მოხდება PRMS-ის გაფართოება დგუშის გამშვების განსათავსებლად, რათა შესაძლებელი იყოს შემოთავაზებული მილსადენის დამატებითი დასავლეთის მონაკვეთის შემოწმება.

SCPX მილსადენის შემოთავაზებული დამატებითი აღმოსავლეთის და დასავლეთის მონაკვეთები ნაჩვენებია ქვემოთ (იხ. სურათი 1-1 და სურათი 1-2).

ყველა ზემოთხსენებული ცვლილება ESIA-ს დამატებაში მოხსენიებულია როგორც „საინჟინრო პროექტის განახლებები“.



სურათი 1-1: შემოთავაზებული მილსადენის დამატებითი აღმოსავლეთის მონაკვეთი



სურათი 1-2: შემოთავაზებული მილსადენის დამატებითი დასავლეთის მონაკვეთი

1.3 დამატებითი სამუშაოების ჩატარების გონივრული დასაბუთება

მილსადენის დიამეტრის 56''-დან 48''-მდე შემცირებით მოხდება კაპიტალური დანახარჯების დაზოგვა ისე, რომ ამან გავლენა არ მოახდინოს SCPX პროექტის სიმძლავრეზე ან მისი შემდგომი გაფართოების შესაძლებლობაზე. შემოთავაზებული მილსადენის დამატებითი დასავლეთის მონაკვეთი უზრუნველყოფს ბუნებრივი აირის ტრანსპორტირებას თურქეთში TANAP-ის საშუალებით და ბუნებრივი აირის ევროპის ბაზრებზე ტრანსპორტირებას ტრანს-ადრიატიკის მილსადენის (TAP) საშუალებით.

1.4 SCP-ის ოპერატორი: SCPC-სა და BP-ს ურთიერთობა

არსებული SCP მილსადენის მფლობელია სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის კომპანია (SCPC), კონსორციუმი, რომელსაც ხელმძღვანელობენ კომპანიები BP და Statoil. კონსორციუმის მეწილეები არიან: BP, Statoil, აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანია (SOCAR)[1], Lukoil, ირანის ნავთობკომპანია Naftiran Intertrade Co. და თურქეთის ნავთობკომპანია Türkiye Petrolleri Anonim Ortaklığı (TPAO). BP არის მილსადენის ტექნიკური ოპერატორი, ხოლო Statoil – კომერციული ოპერატორი.

ამდენად, ESIA-ს დამატება დაიწერა SCPC–სთვის, რომელიც წარმოადგენს SCPX–ის ოპერატორ კომპანიას. თუმცა, რამდენადაც BP–ს მინიჭებული აქვს ტექნიკური ოპერატორის სტატუსი, იქ სადაც არის ამის საჭიროება, გათვალისწინებულია სწორედ BP–ს პოლიტიკა და პრაქტიკა.

1.5 ESIA-ს პროცესი

1.5.1 მიზნები

დამატებითი სამუშაოებისთვის განხორციელდება იგივე ESIA-ს პროცესი, რაც ჩატარდა SCPX ESIA-ს საბოლოო ანგარიშის მომზადებისთვის.

ESIA-ს პროცესის მთავარი მიზანია ბუნებრივ ან სოციო–ეკონომიკურ გარემოზე პროექტის საქმიანობით გამოწვეული ნებისმიერი უარყოფითი ზემოქმედების განსაზღვრა და, შეძლებისდაგვარად, აღმოფხვრა ან მინიმუმამდე შემცირება, აღნიშნული უარყოფითი ზემოქმედების ადრეულ ეტაპზე დაფიქსირების გზით, და შემარბილებელი ღონისძიებების ჩართვა პირველადი საინჟინრო გათვლების, მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროცესებში. ეს პროცესი უფრო დეტალურად აღწერილია SCPX ESIA-ს საბოლოო ანგარიშის ქვეთავში 1.5.

1.6 ESIA-ს დამატების სტრუქტურა

ESIA-ს დამატებას აქვს SCPX ESIA-ს საბოლოო ანგარიშის ანალოგიური სტრუქტურა, რათა გამარტივდეს ორ დოკუმენტს შორის წყაროზე მითითების გაკეთება (იხ. ცხრილი 1-1).

[1] SOCAR წარმოდგენილია მისი შვილობილი კომპანიებით - Azerbaijan South Caucasus Pipeline Limited და South Gas Company Midstream LLC

ცხრილი 1-1: ESIA-ს სტრუქტურა

არატექნიკური რეზიუმე	ESIA-ს დამატების შინაარსი, გადმოცემული არატექნიკური ენით
თავი 1 **შესავალი**	დამატების სამუშაოს მოცულობის ზოგადი შესავალი, შეფასების მიზნების მოკლე მონახაზი და ანგარიშის სტრუქტურა
თავი 2 **ტერმინოლოგია და აბრევიატურები**	ტერმინოლოგია, ლათინური დასახელებები, გამოყენებული საზომი ერთეულები და აბრევიატურები
თავი 3 **მიდგომა და მეთოდოლოგია**	ESIA შეფასების შესასრულებლად გამოყენებული მეთოდების აღწერა
თავი 4 **პროექტის განხორციელება და ალტერნატივების შეფასება**	დიამეტრის ცვლილებისა და დამატებითი მილსადენის მარშრუტისთვის შეფასებული ალტერნატიული ვარიანტების აღწერა
თავი 5 **პროექტის აღწერა**	შემოთავაზებული საინჟინრო პროექტის განახლებების დეტალური აღწერა
თავი 6 **პოლიტიკა, სამართლებრივი და ადმინისტრაციული ჩარჩო**	შესაბამისი გარემოსდაცვითი და სოციალური ნორმებისა და სახელმძღვანელოების, ასევე, BP და HSE პოლიტიკის, გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტებისა და მოლოდინების აღწერა
თავი 7 **ბუნებრივი გარემოს ფონური მდგომარეობა**	მილსადენის დამატებითი მონაკვეთების სიახლოვეს არსებული ფიზიკური და ბიოლოგიური გარემო პირობებისა და კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების აღწერა
თავი 8 **სოციო–ეკონომიური გარემოს ფონური მდგომარეობა**	მილსადენის დამატებითი მონაკვეთების სიახლოვეს არსებული სოციო-ეკონომიკური პირობების აღწერა
თავი 9 **კონსულტაციის პროცესი**	ESIA-ს დამატებისთვის ინფორმაციის მოძიების მიზნით ჩატარებული საკონსულტაციო პროცესის აღწერა
თავი 10 **ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედებები და შემარბილებელი ღონისძიებები (დაგეგმილი საქმიანობები)**	ბუნებრივ და სოციო-ეკონომიკურ გარემოზე საინჟინრო პროექტის განახლებების დაგეგმილ ღონისძიებებთან დაკავშირებული პოტენციური ზემოქმედებების შეფასება. შემარბილებელი ღონისძიებების გატარების შემდეგ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ყველა ნავარაუდევი საშუალო და მაღალი მნიშვნელობის ნარჩენი ზემოქმედების შეჯამება
თავი 11 **კუმულაციური და ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებები**	საინჟინრო პროექტის განახლებების და სხვა, ამ რაიონში მოქმედი პროექტების ურთიერთქმედების შედეგად გამოწვეული პოტენციური კუმულაციური ზემოქმედებისა და საინჟინრო პროექტის განახლებებთან დაკავშირებული ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებების შეფასება
თავი 12 **საფრთხეების ანალიზი და რისკის შეფასება (დაუგეგმავი მოვლენები)**	ბუნებრივ და სოციო-ეკონომიკურ გარემოზე საინჟინრო პროექტის განახლებების განხორციელების დროს დაუგეგმავი მოვლენებით გამოწვეული პოტენციური ზემოქმედებების შეფასება
თავი 13 **მართვა და მონიტორინგი**	ბუნებრივი და სოციო-ეკონომიკური გარემოს მართვის სისტემისა და გეგმების, ასევე, მონიტორინგის შემოთავაზებული ღონისძიებების აღწერა

თავი 14 **პროექტის საერთო შეფასება**	ზოგადი დასკვნა შემოთავაზებული საინჟინრო პროექტის განახლებებით გამოწვეული ნარჩენი ზემოქმედების შესახებ
თავი 15 **გამოყენებული ლიტერატურა**	ყველა გამოყენებული ლიტერატურული წყაროს ჩამონათვალი
თავი 16 **ESIA-ს ავტორები**	აქ დეტალურადაა აღწერილი ESIA-ს დამატების მომზადების პროცესში ჩართული მონაწილეები, დამხმარე პირები და ადგილობრივი ინსტიტუტები
დანართი A **შეზღუდვების რუკები**	რუკები, რომლებზეც ნაჩვენებია ბუნებრივ გარემოსთან, კულტურულ მემკვიდრეობასა და სოციალურ მდგომარეობასთან დაკავშირებული შეზღუდვები შემოთავაზებული მილსადენის დამატებითი მონაკვეთების გასწვრივ და დგუშის სადგურის ახალ ადგილმდებარეობაზე
დანართი B **ზემოქმედების შეფასებისა და შემარბილებელ ღონისძიებათა ცხრილები**	დამატებით სამუშაოებთან დაკავშირებული ზოგადი და კონკრეტული ადგილმდებარეობისთვის დამახასიათებელი ზემოქმედებებისა და შემარბილებელი ღონისძიებების ცხრილი
დანართი C1 **საჯარო განხილვის და კონსულტაციების გეგმა**	საჯარო განხილვისა და კონსულტაციების გეგმა (PCDP)
დანართი C2 **პასუხები ESIA-ს დამატების საჯარო განხილვის ეტაპზე მიღებულ შენიშვნებზე**	ESIA-ს დამატების საჯარო განხილვის დროს მიღებული ყველა შენიშვნის და პროექტის პასუხების (ESIA-ს დამატების ცვლილებების ჩათვლით) ჩამონათვალი
დანართი C3 **ESIA-ს დამატების შესწორებების რეესტრი**	ESIA-ს დამატების ანგარიშის პროექტსა და დოკუმენტის საბოლოო ვარიანტს შორის არსებული განსხვავებების განახლება
დანართი D **სამშენებლო ფაზის ბუნებრივი და სოციალური გარემოს მართვისა და მონიტორინგის გეგმა ცვლილებები**	SCPX ESIA-ს საბოლოო ანგარიშის ESMMP-ში შეტანილი ყველა ცვლილების ამსახველი რეესტრი
დანართი E **ვალდებულებათა რეესტრი**	ESIA–ს დამატებით ნაკისრი ყველა ვალდებულების განმსაზღვრელი რეესტრი

ESIA პროცესი დაეყრდნო მრავალ გამოქვეყნებულ და გამოუქვეყნებელ წყაროს. ეს წყაროები სრულადაა მითითებული მე–15 თავში. ESIA–ს დამატებაში სინთეზირებული და შეჯერებულია საინჟინრო პროექტის განახლებებთან დაკავშირებული ყველა შესაბამისი ინფორმაცია. თუმცა, ამ დამატებაში ყოველთვის, როცა ინფორმაცია იქნება ზოგადი ხასიათის, მითითებები გაკეთდება SCPX ESIA-ს საბოლოო ანგარიშზე. შეიქმნა SCPX ESIA-ს საბოლოო ანგარიშის ბუნებრივი და სოციალური გარემოს ფონური მდგომარეობის შესახებ ანგარიშის (ESBR) დამატება, რომელიც მოიცავს მილსადენის მონაკვეთებს (ESBR-ის დამატება). ამ დოკუმენტით შესაძლოა დაინტერესდნენ მხარეები, რომლებსაც სურთ კონკრეტული საკითხების უფრო დეტალური შესწავლა. ESBR-ის დამატება ხელმისაწვდომია, წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, შემდეგ მისამართზე:

BP საქართველო
სულხან ცინცაძის ქ. # 24 (ყოფილი საბურთალოს ქუჩა # 38)
თბილისი 0160
საქართველო

ESIA-ს დამატება წარმოდგენილია ინგლისურ და ქართულ ენებზე. ყველა ღონეა მიღებული იმის უზრუნველსაყოფად, რომ ESIA-ს დამატების ქართული თარგმანი ზუსტად შეესაბამებოდეს ინგლისური ორიგინალის მიზანს და შინაარს. ამ განსხვავებული ენობრივი ვერსიების რომელიმე დებულების ან შესაბამისი თარგმანის განმარტებისას წარმოქმნილი ნებისმიერი შეუსაბამობისა თუ უთანხმოების შემთხვევაში, სადავო ტექსტი დაექვემდებარება შემდგომ განხილვას და შეთანხმებული იქნება SCPC-სა და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს შორის.